დანართი

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

28.07.2026წ.ბრძ N 60

უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

ქ.თბილისი

2026წ.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - "დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტის" (შემდეგში - უნივერსიტეტი) უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) ფუნქციებს და უფლებამოსილებას, სტრუქტურას და საქმიანობის წესს, ხელმძღვანელობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს.

1.2. ცენტრი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საქმიანობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა შიდასამართლებრივი აქტების შესაბამისად;

1.3. ცენტრი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

2. ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნციები

2.1. ცენტრის მიზანია გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოების პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის.

2.2. ცენტრის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უწყვეტი განათლების კურსებისა და პროგრამების სრული ადმინისტრირება;

ბ) მსმენელთა ჩარიცხვა, მათთან ხელშეკრულებების გაფორმება და სასწავლო პროცესის ორგანიზება;

გ) სპეციალური მოსამზადებელი პროგრამების შეთავაზება;

დ) უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;

ე) უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების, კურსებისა და სემინარების დაგეგმვა და ორგანიზება;

ვ) ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების მომზადება;

ზ) ბიზნესსა და სხვა სუბიექტებთან მჭიდრო პარტნიორობით ერთობლივი სასერტიფიკატო კურსების/პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

თ) უწყვეტი განათლების კურსებისა და შესაძლებლობების შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება;

ი) უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და შეთავაზება დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციებისათვის

კ) ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის დებულებითა და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

3. ცენტრის სტრუქტურა

3.1. ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

3.2. უნივერსიტეტის საჭიროებიდან და საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

3.3. ცენტრის უფროსი:

ა) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

დ) რექტორის დავალებით წარადგენს ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ვ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის დავალებებს;

ზ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.4. ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით, ხოლო ცენტრის ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისათვის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები წარმოადგენს შესაბამის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ნაწილს. მათ შორის, ცენტრის უფროსისთვის, გარდა ამ მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო მოვალეობებისა, სამუშაო აღწერილობით შეიძლება დადგინდეს დამატებითი ძირითადი და დეტალური ფუნქციები, ცენტრის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

4.1. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.